ხელშეკრულება №13

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

18 მაისი2018წ.

ერთის მხრივ, ა(ა)ი.პ. „კომუნალური1" (შემდგომში- შემსყიდველი), წარმომადგენელი მისი დირექტორის ჯონდო გელაშვილის სახით და მეორეს მხრივ,შ.პ.ს. „ თორნიკე" (შემდგომში-მიმწოდებელი), წარმომადგენელი მისი დირექტორისერგო ბლიაძე სახით, სახელმწიფო შესყიდვის შესახებსსაქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: - დამცავფენიანი კაბელი (CPV31321600)

## მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **970(ცხრაას სამოცდაათი)**ლარი.

2.2 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვას და მიმწოდებელთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით

## მუხლი 3. მიღება ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების ან/და სასაქონლო ზედნადებით ან ანგარიშფაქტურით.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების ან/და სასაქონლო ზედნადების ან ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## უხლი 4. საქონლის მიწოდების ხარისხი, ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია ხარისხიან პროდუქტზე.

4.2. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს 2018 წლის18 მაისი-2018წლის 21 მაისი

## მუხლი 5. მხარეთა უფლება მოვალეობები.

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში მიაწოდოს ხარისხიანი საქონელი,.

## მუხლი 6.ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

6.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შემსყიდველის მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირები.

6.3.შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობიდა და წუნდების მიზეზების მითითებით

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2(ორი) დღეში გამოასწოროს გამოვლენილი დეფექტი ან ნაკლი.

## მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყრელ ნაწილად.

7.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს: ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე: ბ)თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას: გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება: დ)თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია: ე)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიანხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებებით გამოწვეული პასუხისმგებლობიდან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2.თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა,აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

## მუხლი 9.პირგასამტეხლო

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში-ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

9.2. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შეძენა შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

## მუხლი 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1.ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუხწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადადა სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 ივნისი.

11.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლიარად და აქვს თანაბარი იურდიული ძალა.

## მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები

| *შემსყიდველი:* | *მიმწოდებელი:* |
|---|---|
| ა.(ა).ი.პ „კომუნალური1" | შ.პ.ს. „თორნიკე" |
| მის: ქ.სიღნაღი დ. აღმაშენებლის მოედანი №2 | მის:ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №8/9 |
| საიდენტიფიკაციო კოდი:№440394592 | საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი, |
| ტელეფონი: 355 23 31 06 | ბანკის კოდი BAGAGE22 |
| დირექტორი: ჯონდო გელაშვილი | ა/ა: GE88BG0000000893696601 |
| | ს/კოდი: 202234509 |
| | დირექტორი: სერგო ბლიაძე |

კორექტირების თარიღი: 18/05/2018 17:35:54

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0377720538 |
|---|---|---|

| 2 | 18/05/2018 |
|---|---|

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

(დღგ-ს გადამხდელი)

| 3 | 17:19:13 |
|---|---|

დრო (საათი, წუთი)

| 4 | შპს თორნიკე | 202234509 |
|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

| 5 | კომუნალური 1 | 440394592 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირებით |
|---|---|---|

| 7 | გურამიშვილის 84 |
|---|---|

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| 8 | სიღნაღი აღმაშენებლის მოედანი # 2 |
|---|---|

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| 9 | საავტომობილო |
|---|---|

ტრანსპორტირების სახე

| 10 | GO598OG |
|---|---|

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

| X |
|---|

მისაბმელი

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | 40001035109 ალექსანდრე |
|---|---|---|

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი | მყიდველი - 0 |
|---|---|---|

თანხა ლარებში

# სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კაბელი 2*10 | 01898 | მეტრი | 500.0000 | 0.8500 | 425.0000 |
| 2 | კაბელი 2*16 | 01886 | მეტრი | 500.0000 | 1.0900 | 545.0000 |

| 13 | 970 - ცხრაას სამოცდაათი ლარი და ნული თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | | |
|---|---|---|---|

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) დრო (საათი, წუთი)

| 19 | |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 19/05/2018, 12:13:27